

F. 343
1962

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՅԵՆՈՒՄՈՒՅՑ



ԹԵՂԵՍ

«Երեւանի քաղաքի
հասարակական կենտրոնի»
գրական կազմակերպության
հրատարակած


№ 12 ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԱՍՏՆԱԿԱՆ ԿՈՄԻՏԵՍԻ
ՄԱՍԻՆԻՍՏՐԱՏՈՐԱՏԻ ԿՈՄԻՏԵՍԻ
ՄԱՍԻՆԻՍՏՐԱՏՈՐԱՏԻ ԿՈՄԻՏԵՍԻ

ԵՐԵՎԱՆ

მოგილოცავთ

მუსიკა ნ. ბაბუნაძის

ჩქარა!



ლექსი პრ. აბაშიძისა

ზამთარია. მთა და ბარს
ფარავს თოვლის ზეწარი.
— მოგილოცავთ ახალ წელს,
მრავალ წელს დაიხსარიო!—

გარს უვლიან ნაძვისხეხ
ნანაც, გვიც, ილოცა,
— გამარჯვება, დაიკო,
შენც ახალ წელს გილოცავ!

ეს რამდენი ბავშვია,
რამდენს კიდევ ელიან.
— მოგილოცავ, ბიჭუნავ,
დღეს ახალი წელია!

ნახატი ნ. ბაბუნაძისი

F-343
1962

ძვირნების



მ. გოლუაძე

ნახატი პლ. ბანძელაძისა

ნანას სახალწლოდ ახალი კაბა შეუკერეს, ახალი ფეხსაცმელები უყიდეს, ბანტიც ახალი გაუკეთეს. ნანამ მთელი დღე ახლებში გაატარა. საღამოს გამხდინაო, დაძინებაც კი აღარ ისურვა.

— გაიხადე, შვილო, დაიძინე, ხომ ხედავ თვალები გეხუჭება! — შეეხვეწა ბებო.

— არა, არ მინდა ძილი! — ნანამ თვალები ძალით დააჭყიტა, მაგრამ ძილმა მაინც თავისი გაიტანა, ნანას თავი ააკანტურებინა.

— ასე გაუხდელად დამაძინეთ, — ახლავს მოისურვა.

— რას ამბობ, შვილო, ტანსაცმლიანად ძილი ვის გაუგონია? — გაოცდა ბებო.

ნანას ძმებმა კი გაიცინეს:

— უპ, რა სანახავი იქნება ხვალ კაბა!

— რას დაემსგავსება ბანტი!

— ბანტი დაისრისება, კაბაც; ფეხსაცმელები ლოგინს დასვრიან.

— აბა, თქვენ ჩუმად იყავით! — გაუწყრა ბებო ბიჭებს, — ნანა ტკეციანი გოგონაა, კაბასაც თვითონ გაიხდის, ფეხსაცმელებსაც, ბანტსაც მოიხსნის, დააცადეთ!

ნანამ ბებოს შეხედა, მერე ბიჭებს, — არ ეხუმრებოდნენ გოგონას.

ნანა მარტო რომ დარჩა ბანტი მოიხსნა და ჰკითხა:

— ბანტო, ხომ არ გამიფრინდები, ვიდრე გავიღვიძებ?

— არა! — დაპირდა ბანტი. — შენისთანა ტკეციან გოგონასაგან როგორ გავფრინდები? — კაბაც იქვე სკამზე გადაკიდა და ვიდრე ნანა შეეკითხებოდა, თვითონვე უთხრა:

— გმადლობ, რომ მეც სუფთად შემინახე!

ფეხსაცმელები კი სწრაფად შეძრწინ საწოლის ქვეშ და იქიდან გამოსძახეს:

— ძილი ნებისა, ნანა! აბა, უშენოდ სად წავალთ?

და იმათაც დაიძინეს!

ნანამაც თვალები დახუჭა და მშვიდად ჩაიძინა.

F-2550





ბიბლიკო ყვინჩილა

აღ. შაბაძე

ჩვენს შესობლად ცხოვრობს ერთი ბიჭი, რომელსაც სახელად გიგლა ჰქვია და მოყვრებით გიგლიკოს ეძახიან.

გიგლიკო სამი წლის არის და თვლაც საშაძე იცის.

ერთხელ გიგლიკო რუს ზირას იჯდა ზერანგისამარა და ლამაზი კენჭებით ერთობოდა. იქვე ახალშეკინებული წიწილები დასდევდნენ კრუსს, წყალში კი იხვის ჭუჭულები ცურაუდნენ. ერთმა წიწილამაც ისეუბა და წყალში გადახტა. წყალი სულაც არ ეახა და საცოდავად მორთო წიე-წიეო.

გიგლიკო მაშინვე წამოხტა და წიწილა წელიდან გამოიყვანა. მერე მზეზე გააშრო და გაუშვა. იმ დღიდან დაშკობრდნენ გიგლიკო და წიწილა.

გავიდა დრო. წიწილა გაიხარდა, ბოლო დაუკრძელდა, სიარულში ფეხებით ძაძალს ბამუდა, ბიბილოც გაეხარდა.

ერთხელ, დილით გაიღვიპა თუ არა გიგლიკომ, ესოში გამოვიდა. სწორედ ამ დროს გიგლიკოს შკობარმა უყინჩილამ ჩახრწილი ხმით ზირველად დაიძახა:

— ეიუდი-ეო!..

გიგლიკო სიხარულით ცას ეწია. დედასთან მიიბრინა და მიასარა:

— დედა, დედიკო, უყინჩილამ დაიძახა „გიგლიკო“!

ნახატები ზ. შორაჩხიძისა



აკაცხოზი

ა. კობახიძე

დიდზე დიდ სახლს აშენებენ ჩვენი სახლის პირდაპირ, ზოგი ჩაქუჩს უკაკუნებს, სხვა ეწევა ბირდაბირს.

ჩვენი ძია კალატოზი საქმემია გართული, ქვას აგური ემატება და სართულებს სართული.

გზაზე ვინმე ჩამოვიდის, თვალი სახლზე დარჩება: — გამარჯობა, კალატოზო, დაგელოცოს მარჯვენა!



მოსკოვის მახლობლად არის სოფელი ბოროდინო. მთელს მსოფლიოში განთქმულია მისი სახელი; 1812 წლის 7 სექტემბრის განთიადზე ბოროდინოს მახლობლად მოხდა ნაპოლეონისა და რუსეთის ჯარებს შორის ისტორიული ბრძოლა.

რუსები მოსკოვს თავგანწირვით იცავდნენ. ნაპოლეონმა აქ დაკარგა 67 ათასი ჯარისკაცი და 47 გენერალი.

ამ სამამულო ომში რუს ხალხს მხარში ედგნენ და თავგანწირვით იბრძოდნენ ქართველებიც. მათ შორის თორმეტი გენერალი იყო: პეტრე და რომან ბაგრატიონები; ივანე და სიმონ ფანჩულაძეები; ვლადიმერ და ლევან იაშვილები; ივანე, სპირიდონ და ფილიპე ჯავახიშვილები, პავლე ბიბილური, ანტონ შალიკაშვილი და სიმონ განგებლიძე.

წელს შესრულდა ბოროდინოს ბრძოლის 150 წლისთავი.



ს. ალაქსაძე

„კავას გვირგვინებს“

ბძოლის დაწყებამდე ფელდმარშალი მიხეილ კუტუზოვი ჯარების განლაგებას შეუდგა და ბაგრატიონის არმია მარცხენა ფლანგზე დააყენა:

— ეს ადგილი ყველაზე სახიფათოა, ღია მისადგომები აქვს და ფრანგები სწორედ აქედან შემოგვიტყვევონ.

— ჯარი ხომ ცოტა არა ჰყავს თავად პეტრეს?—აღელვებით იკითხა შტაბის ერთ-ერთმა გენერალმა.

— მანდ ბაგრატიონია და ძალას ის გაუორკეცებთ!—მიუგო კუტუზოვმა.

მართლაც ნაპოლეონმა ჯერ სწორედ მარცხენა ფრთაზე გახსნა ცეცხლი,—რადაც უნდა დაუჯდეს, ჯერ ბაგრატიონის სანგრები უნდა აიღოს. შემდეგ კი მისმა ჯარებმა ცენტრს უნდა დაარტყან!

ასეთი გეგმა ჰქონდა ფრანგების იმპერატორს.

ფრანგებმა ცეცხლი გახსნეს: ასობმოცდაათი ზარბაზანი ზედირზედ უშენდა. ცხენოსანთა სამი კორპუსი შურდულივით გაიქრა სანგრებისაკენ. ათიოდე ქვეითი პოლკიც გადავიდა შეტევაზე. ყველა ერთად მიაწვა ბაგრატიონს. საფრანგეთის საუკეთესო მარშლები ნეი, დავუ და მიურატი თვითონ მიუძლოდნენ იერიშს.

— დახე ამათ! ერთ გენერალზე ამდენი მარშალი მოდის?—ჩაიცინეს რუსმა ჯარისკაცებმა.

— თუნდა ხუთი მარშალიც ერთად წამოვიდეს, თავადი ბაგრატიონი წარბსაც არ შეიხრის.

— აბა, ბიჭებო, არ შედრკეთ!

იერიში იერიშზე მოაქვთ ფრანგებს. არ იციან შიში რას ჰქვია. სანგრებთან დაზვიენულ დახოცილებზე ზედ მოაბიჯებს ახალახალი გულადი მწყრივები.

არც რუსებს ჰყავთ ნაკლები ვაჟკაცები!

— ვაშა, ვაშა!—აქეზებს თავის ჯარს ბაგრატიონი და გმირობას უწონებს.

შეეჯახა ერთმანეთს ჯარისკაცთა ორმხრივი კედელი. გმირი გმირს შეერკინა. ლაჩარი არავინაა. „მოვიდა ხეტყვა და დახვდა ქვაო!“—ამაზე იტყვიან.

რუსებს ვერც ერთი ნაბიჯით ვერ დაახეინეს უკან. ფრანგებიც წინ ვერ დგამენ ნაბიჯს!..

მხოლოდ ბორცვები, ბრძოლის ველზე დაცემულ ვაჟკაცთა ბორცვები მალდებდა.

წამდაუწუმ მოჰქრიან ბაგრატიონისაკენ კუტუზოვის შიკრიკები. მოაქვთ ხან ბრძანება, ხან მითითება, ხან განკარგულება. ოღონდ, ეს არის, რომ ამ ორომტრიალში ვერსად მიუგნიათ გენერლისათვის. ერთ ადგილზე რა გააჩერებს პეტრე ბაგრატიონს!

— გენერალი კი არა, პირველი სალდათი ვარ სწორედ!—იცის ხუმრობა ბაგრატიონმა.

შიკრიკები კი კვლავ გამწარებით აკითხვენ გენერალს.

აქეთ იქნებაო, —რომ ჰგონიათ, —იქით მიაკითხეთო! — ეუბნებიან.

ახლა იქით მიაშურებენ შიკრიკები...

— ეს-ეს არის, იყო და წავიდაო! — ყველგან ასე უპასუხებენ.

მხოლოდ ერთმა ოფიცერმა იცის, სად მიაგნოს ბაგრატიონს. ეს ოფიცერი გვარად ვოიკოვია, მიიღებს თუ არა კუტუზოვის ბრძანებას, უმალ მიაართმევს ხოლმე თავად პეტრე ბაგრატიონს.

შეხარბათ სხვა შიკრიკებს, რა იღბლიანია ეს ვოიკოვო და ჩაიცივნენ: — როგორ

მიხვდები ხოლმე, საით იმყოფება ბაგრატიონი?

— მაგაზე ადვილი რა არის! — მიუფო ვოიკოვმა.

— რაღა ადვილია, შე კაი კაცო, არაქათი აღარ გვაქვს მისი ძეხნით. — ჩივიან შიკრიკები, — შენ ნამდვილად გულთმისანი ხარ, ვოიკოვმა ჩაიციან!

— ესეც თქვენი მისნობაო, — და მიუთითა ბაგრატიონის ჯარზე, თანაც დასძინა:

— აბა, ჯერ ეს მითხარით, საით უფრო ცხარე შეტაკება?

— აჯერ, იქ! — დანახვეს შიკრიკებმა.

— ჰოდა, თქვე დალოცილებო, სადაც ფიცხელი ბრძოლაა, ისიც იქ იქნება. ამას რა დიდი მისნობა სჭირდება! — მიუფო ვოიკოვმა.

ხელჩართული ბრძოლა კი არ ცხრება. მზემ კარგა მალლა აიწია, სანგრები კვლავ აულებელია.



ბოლშაზე სკდება ნაპოლეონი. მთელი გეგმები ეფუძება... ზედღიზედ აგზავნის კიდეც ორას, სამას, ოთხას ზარბაზნს და თან მრისხანე ბრძანებას ატანს:

— გადაისროლეთ მთელი ძალა მარცხენა ფრთაზე!

მართლაც თავაგამოდებით უტყვენ რებს ახალ-ახალი ჯარები.

— მა, რა ქენით, ზურგი გვირგენა ბაგრატიონმა?

— ვერა, თქვენო უდიდებულესობავ, ფეხიც ვერ მოვაცვლევივინეთ!



ყაჯაჯაი სეკი

ოროდინოს ბრძოლაში ბაგრატიონს მეზღურედ კირასირი აღრიან ოვი ახლდა თან: ხან ჭოგრიტს მიაწვდიდა გენერალს, ხან შეკაზმულ ცხენს მიჰგვრიდა, ხან მათართ წუალსაც მიართმევდა ხოლმე.

აღრიანოვი ლანდივით დასდევს ყველგან თავად პეტრეს. შესცქერის მის კეხიან, არწივისებურ ცხვირს, მის ვაჟაკურ მკლავებს და გულში ფიქრობს: დახეთ რა ქართველია, ასეთი ხელი ხმალს არ გაავდებსო. შეშუპურებს ბაგრატიონის ჩასხმულ ბეჭებს: „ყველას თვალი ზედ რომ რჩება“.



ნამდვილად ქუაში უჯდება ჩენს აღრიანოვს ასეთი გენერალი: მამაცობაში ხომ ბადალი არა ჰყავს. ჯარისკაცებზეც თავს უყადრებს; სულ ჩემო ძმაო" და „ჩემო ბიჭებო"—ეძახის. მათარასაც ისე მოიუუდებს ხოლმე, გეგონებთ დიდ-დიდი კლუპებით ძალას ისხამს ჯანშიო.

მაგრამ ბაგრატიონის ნახვა ერთ რამედ მაშინ ღირს, უზანგებზე რომ წამოიწივებს ხმალშემართული, მკეპარე ხმით დასკუივლებს:—აბა, შეტევაზეო!—და თავით ფეხამდე დაცეცხლავს მისი ყიფინა!

აი, ახლაც, უნაგირზე შემართულა და სადაცა თავისიანებს შესძახებს ომასიანი ხმით. მაგრამ... ეს რა ხდება? უცებ ნაღმი შეასკდა გორაკს. არა, არა, აღრიანოვს ნამდვილად მოეჩვენა, თორემ ასეთი რამ განა დასაჯერებელია?—გენერლის ფეხიდან სისხლი მოთქრიალებს მიწაზე... მძიმედ დაეშვა უნაგირზე გენერალი ბაგრატიონი, აღვირს კი მაინც არ უშვებს ხელიდან:

—უნდა გავძლო ცხენზე, უნდა გავძლო. ჯარს კი არაფერი შევამჩნევინო!

შეტკვდა ბაგრატიონი და ისე დაეცა მიწაზე, ერთიც არ დაუცუნესია. ამაღა მაშინვე მიიჭრა გენერალთან, გააძვრეს ჩექმა, მუნ-

ღირი შეუხსნეს. მისი ფოლადის ხმალი გვერდზე გადადეს.

ჯარის ექიმმაც მოაშურა. გასინჯა და თავი გაიქნია:

—ნამსხვრევი მოხვედრია, სასიკვდილოა...

ზოგმა ქუდზე წაივლო ხელი. ზოგს ოხვრა აღმოხდა.

აღრიანოვი შეეცადა გვერდვია ბაგრატიონთან შეჯგუფული თანამებრძოლები,—მე ხომ გენერალს თან ვახლავარო; მაგრამ ახლოს აღარ მიუშვეს და შეუტევეს:

—თავი დაანებე, საჭირო აღარ ხარ!

—„მოჰკლეს“, „მოჰკლეს“,—დაირხა ხმა ჯარში.

მაშინ უცნაური რამ დაემართა შეაბურე აღრიანოვს; მოჰკრა თვლი მიწაზე დაგდებულ ბაგრატიონის ხმალს თუ არა, ჯერ დააშტერდა, მერე უცბად დასტაცა ხელი და გაიჭრა ფრანგებისაკენ. შეუტია ერთს, მეორეს, ჩებავს გააფთრებით... ვაშემდინენ ოფიცრები, ჯარისკაცებს ხუნთქვა შეეკრათ. ლომივით ჰგმირავს აღრიანოვი მტრის ჯარს, მხოლოდღა მისი ხმალი ლაპლაპებს მზეზე, ბაგრატიონისეული ხმალი, უძლეველი ხმალი!

ნახატები მ. მირზაშვილისა



ჩაგმა და იხვი

ივანი

ი. სიხარულიძე

ნახატი ვ. გელიძის მიერ

ჩრთხელ იხვი ვახვანა ტბაზე მარგალ ცურავდა, თევზს იჭერდა, ყვინთავდა სწრაფად, მამაცურად.



ნაპირიდან ვახვანას ფისუნია უცქერდა, თევზის ჰამის სურვილით საწყადას გული უშფერდა.

იხვს შეჰყავდა: — გიყურებ, ცეცხლის აღი შეგება, ერთი თევზი მიბოძე, ჭუჭული გაგებრდება! —

იხვმა უთხრა: — კი, ოღონდ წყალთან ახლოს ჩამოდი, თევზს მოგაწყვდი, ძლიწი, წყალში თვნი ჩამოხდი! —

ფისუნამ თქვა: — არ მიყვარს წყალში თვნი ჩაყვლა! — მაშ, მანდედან უყნოსე, თევზის სუნიც გეყვალა!



ა
ბ
გ
დ
ე
ვ
ზ
თ
ი
კ
ლ
მ
ნ
ო
პ
ჟ
რ
ს
ტ
ც
ძ
წ
ჭ
ხ
ყ
შ
ჩ
ცხ
ცვ
ცძ
ცწ
ცჭ
ცხ
ცყ
ცშ
ცჩ

ზიპინამ ნანას წერილი მიიღო. ნანას ზოგ სიტყვაში ასოები გამორჩინდა, ამოკრეფეთ კალაოიდან ასოები, ჩასვით თავიდან აღფრთხილ და დაეგზავნეთ ბაიბნას წერილი სწორად ამოკრეფაზე.

გამძიჯობა, .იძინა! ბაბუკამ .აჯახა
 მე.ხი და ს.ამი გაგეყვით. გუშინ ვო ჰაქში
 .ორო მოვლა. შენმა ცოცყინამ თა.ყო დაიჭიროა.
 მხილობდ მთიდან მ.წყეყი .ამონსკ. გეგზავნი
 .ქბიდეყდს. მადე .ინახსყელებ.



ნახატი ვ. გელიძის მიერ

შეიქმნა

333361 ხარაბი
აკადემიკოსი



თქვენ შეგიინიშნავთ, ბავშვებო, მოწმენდილ ცაზე, საღამოს ბინდში მთვარის გიწრო „ნამგალი“ ანდა გინახავთ ღამის ცაზე მოკაშაშე, საცხე მთვარე, მაგრამ, თუ იცით, რა სხეულია მთვარე? ასე რატომ იცვლის სახეს? რით ვმსგავსდება დედამიწის და რით განსხვავდება მისგან?

მთვარე კოსმოსური სხეულია. დედამიწის მსგავსად მრგვალია, მაგრამ მასზე ვაცილებით პატარაა. ერთი დედამიწის-ოდენა ბურთიდან ორმოცდაათი მთვარისოდენა ბურთი გამოიჭრება.

როგორც დედამიწის ზედაპირია დაფარული დაბლობებითა და მთებით, ხეობებითა და მთარგზილებით, ისევეა დასერილი მთვარის ზედაპირიც. მაგრამ დედამიწის ბუნება „ცოცხალია.“ წყალი, მდინარე და მრავალი მცენარეულობა, ატმოსფერო, რომელიც ალაგ-ალაგ ღრუბელია, ალაგ-ალაგ წვიმა და თოვლი — ჰქვნიის სიკოცხლეს დედამიწაზე. მთვარე კი მოკლებულია წყალს, მოკლებულია მერს, მცენარეულობას, ღრუბლებსა და ნალექებს; მისი ზედაპირი ყველგან ერთნაირად შერით და უდაბუ-

რითაა გამოქანული. მისაფლანა კოსმონავტებმა, რომლებიც მთვარეზე დაეშვენიან, თან უნდა იქონიონ სასუნთქიე მანქანა და დასაღვეი წყლის მარაგიც.

ტელესკოპში კარგად მოჩანს მთვარის მთები და მათი სიმაღლეების ვახაშვა კარგად ხერხდება. უზარალო თვალით როცა ვუყურებთ მთვარის ბაღროს, მასზე რაღაც „ლაქებს“ ვამჩნევთ. ესენი ჩვეარდნილი ადგილებია. მთვარეზე რომ წყალი ყოფილიყო, სწორედ ამ დაბლობებში ჩადგებოდა. მაშინ ზღვებდაც და ეინახავდით, რადგან წყლის ზედაპირი ლაბლას დაიწყებდა მზის სხივებზე, ამიტომ მათ პირობით „ხლებებს“ უწოდებენ.

თვით მთვარეაც იმიტომ ვხედავთ, რომ მას მზე ანათებს, თორემ თავისთავად მთვარე ცივი და ბნელი სხეულია, იგი არ ვმსგავსებდა არც მზეს და არც ვარსკვლავებს. მზე და ვარსკვლავები იმდენად ცხელი, ვავარდარებული სხეულებია, რომ თვითონ გამოაფრქვევენ სინათლეს, როგორც უზარმაზარი ანთებული დემელი ან ვლემპტრონათორა.

მთვარის სახეც იმიტომ იცვლება, რომ იგი მოძრაობს კოსმოსის სივრცეში დედამიწის ვარკმში. ამ მოძრაობის დროს დედამიწიდან მოჩანს მზით განათებული მთვარის სხვადასხვა ნაწილი.

კარგად ჩაბნელებული ოთახში ანთეთ ნათურა. ორი ნაბიჯის დაშორებით დადმეთ პირით ნათურისაკენ და ნათურიდან ოდნავ შარცხნივ გაშვერილ ხელისგულზე მოათავსეთ ბურთი. ნათურა განათებს ბურთის ნახევარს. თქვენსავე კი ბურთის გაუნათებელი მხარე იჩნება მოკ-



ციული. თქვენ დაინახავთ, რომ სინათლე თითქმის „ნამგალივით“ შემოველება ბურთს.

შემდეგ შეაქციეთ ზურგი ნათურას და ბურთი კვლავ გაშვერილ ხელში გვეჩირთ, მხოლოდ ისე, რომ არ ჩრდილავდეთ მას. დაინახავთ ნათურის შუქით განათებულ მთელ ნახევარ ბურთს, როგორც საცხე მთვარის ბაღროს.

ახლა ბურთი მთვარეს შეადარეთ, ნათურა — მზეს და ამის შემდეგ გვერდინებით, რატომ იცვლის სახეს მთვარე — ალაბმთვარეობის „ნამგალიდან“ საესმმთვარეობის ბაღრომდე.

ბევრი რამ იცის მეცნიერებამ მთვარის შესახებ, მაგრამ მისი აგებულება ჯერ კიდევ შრავლ საიდუმლოებას იჩინავს. ადამიანი მათაც მოაკლევს.

მთვარე დედამიწიდან 400 ათასი კილომეტრის სიშორეზეა. საბოთა ადამიანმა მთვარეზე გატყორცა კოსმოსური რაკეტა და დაუშვა მასზე ალაბი. მან ატომბატური საკვლევი სადგურიც გაუშვა, რომელმაც მთვარის ახლოს შემოუარა, მისი უკანა მხარის ფოტოსურათები გადაიღო და დედამიწაზე გადაიოსცა.

მკვლევარი ადამიანი თვითონაც მივა მთვარეზე, რომ უშუალოდ დააკვირდეს და გამოიკლიოს მისი ბუნება. იგი საბოთა ადამიანი იქნება. მას უკლებლევნ გზას ჩვენი ვემირი კოსმანავტები.





მ. კეკელიძე
რესპუბლიკის სახალხო
არტისტი



მ. კეკელიძე
2018-2019 წლები

ელაჩემს თორმეტი შვილი
ჰყავდა. ჩემს და-ძმაში მე ყველა-
ზე უმცროსი ვიყავი. დედა პატარაობი-
დანვე გვასწავლიდა ოჯახში საქმიანობას;
მოგვისვამდა გვერდით, მოგვცემდა პა-
ტარა ნაჭერს და წაგვაქეზებდა:

— აბა, თქვენს თოჯინას თუ შეუყე-
რავთ ისეთ კაბას, მე რომ გიკვირავთო.
ვცდილობდით მიგვემგავებინა და
დედა გაგვეხარებინა.

ასე გუაჩვენდა სხვა საქმიანობასაც:
კერძის მომზადებას, სუფრის გაშლას,
გარეცხვას, წინდისჩხირების ხმარებას.

გაკვირება

ოთხი-ხუთი წლისა ვიყავი, როცა ხმა გავარდა, აკაკი წერეთელი რაჭა-ლეჩხუმში
მოემგზავრებოდა. მთელი მახრა ფეხზე დადგა. პატარები თეთრებში გამოგვაწყვეს,
თავზე თეთრი ყვავილების გვირგვინებით და თავიუღებით უფროსების წინ ჩაგვა-
წყვიტეს.

როცა გამოაცხადეს: ნორჩების სახელით დიდ პოეტს პატარა გოგუცა ვტყვის
სიტყვასო, მე გაბედულად წავდექი წინ და მისივე ლექსი წაუკითხე. აკაკიმ აქეთ-
იქით დამიწყო ძებნა, რადგან ხმა ესმოდა და მე კი არსად ვჩანდი! როცა დამინახა,
ხელში ამიტაცა, გულში ჩამიკრა და ჩემთან სურათი გადაიღო. ახლა ეს სურათი
მარგალიტის თვალივით ამშვენებს ჩემი ბავშვობის მოგონებას.

ჩემი უფროსი დები გიმნაზიაში რომ შეიყვანეს და ფორმა შეუტერეს, ღრია-

ბაჟ. გივანიძე

ნახატები: ა. ლომიძე

ერთი პინგვინის ამბავი

ქარიშხალმა პატარა პინგვინი ვიტიცა. ვან-
კიკელა ტელევიზორში ხედავს, რომ პინგვინი
ყინულზე შემორჩა, მაგრამ დახტე უბედურებას!..





ლით ავიკელი სახლი, მეც წამიყვანეთ სკოლაში-მეთქი. მეუბნებოდნენ: პატარა ხარ, არ მიგიღებენო. მაგრამ ჩემსას არ ვიშლიდი; ვიდრე სკოლის ფორმა არ შემეცვლინებოდა, კერეს, მანამდე ვერ დაგწყნარდი.

წამიყვანეს საიბანო განყოფილებაში, ქუჩაში ვინ რას არ მეძახდა: „ნამცეცა“, „გაბუშტულო“...

წამიკითხეს ღვქალები, — ხმაილალაო, რომ მითხრეს, ისე დამიყვირია, რომ ღილი ამწყვეტია და ქვედა კაბა ჩამვარდნია. მასწავლებელს უთქვამს დედაჩემისთვის: — დავტოვებ იმ პირობით, თუ ხელს არავის შეუშლისო. მაგრამ აბა, ხელს როგორ შევუშლიდი, როდესაც ყველა გაკვეთილზე მეძინა და გამომძინებული ვბრუნდებოდი შინ.

ჩემს უფროს დებს სკოლის ჩანთები უყიდეს. როგორც კი დავინახე, მოვრთე ტირილი. ბოლოს მეც მიყიდეს. მხოლოდ „დედაჩემისა“ და რვეულების ნაცვლად უფროს ძმებს ჩემს ჩანთაში მამაჩემის დავთრები ჩაგწყობთ. ვიდრე სახლში მოვიდოდი, მკლავები ჩამაწყდა. სკოლიდან დაბრუნებულს დედისთვის მითქვამს: — მეტი აღარ მინდა სწავლა, სკოლა გავათხოვე-მეთქი და ისევ სათამაშოებს დავუბრუნდი.



გ. კუპრაშვილი „ვახუშტის“ როლიში. („ნაცარქექია“)

ძალიან ცელქი ვიყავი, მაგრამ სკოლაში, როდესაც ახალ გაკვეთილს ხსნიდნენ, სმენად ვიყავი გადაქცეული, არ იყო შემთხვევა რომ გაკვეთილი არა მცოდნოდა.

ზაფხულის სოფელ ცუსხეთში ვატარებდით, ბაბუსეფელ მამულში.

წვიმიან დღეს შუაღამოს მივუსხდებოდით, ხან ზღაპრებით, ხან გამოცანებით ვერთობოდით. თუ კარგი დარი იყო, ვზღში გავაჩაღებდით კაკობანას, კუკუმალაობას.

მახსოვს, ერთხელ მამაჩემმა ბატის ქუცები ჩამაბარა მოსამწყემსად. — ისე გავერთე კაკობანას თამაშით, რომ ქუცები აღარ მომგონებია. სამხრობისას, როცა მამამ მკითხა, სად არიან ქუცებიო, მაშინლა ვამახსენდა და დამცეცხლა. — სანამ ადგოლზე არ დააბინავენ, თვალით არ დამენახო!

ბინდდებოდა, სად უნდა მეძებნა?! ჩემს ბიძაშვილს შევეცოდე და გამოძევა. ბევ-



— აბა, ლურჯა, ვუშველოთ! ჯერ გლობუსზე მოვძებნოთ პინგვინეთი!



— ჩქარა არქტიკისაკენ!



რი ვეიბეთ და ბოლოს ვიპოვეთ, მაგრამ ერთი ქუეკი აკლდა. ვიცოდი მამაჩემი არ მაპატიებდა; მივირბინე ბიცოლა მინადორასთან ტირილით, შევეკოდე და ჩვენი ქუეკების კბილა ერთი ქუეკი მათხოვა. შევრევე ვხოში, მამაჩემმა სათითაოდ დაითვა-



„გიჟორი“ — გ. კუპრაშვილი

ლა. ასე გადავჩი მის რისხვას. სცენისადმი სიყვარული ბავშვობიდანვე გამძლევიდა და ჩემი საუკეთესო წლები მოზარდ მაყურებელთა თეატრში გავატარე. ჩემი გზის მაჩვენებელი და მასწავლებელი დიდი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი იყო. პირველად მან მამამა ზანგი ბიჭუნას როლში.

ერთხელ ნაძალადევის თეატრში ვდამოდით პიესა „სურამის ციხეს“. მიხოიას როლს ვთამაშობდი. უკვე გამზადებული ვიდრე კულისებში სცენაზე გასასვლელად. ამ დროს ერთი ხნიერი შეხანძრე მომვარდა და მოულოდნელად ისე ჩამაფარა თავში, რომ თვალებიდან ცრემლები წამომცვივდა. შერე ჩამავლო საყელოში ხელი და მიმართევდა გარეთ:

— მე შენ ვერ მოგაშლევინე, ხომ? აბა, ახლა მიყურე! რის ვაი-ვაგლახით გავითავისუფლე თავი.

— რას შერები, ბიძია, რა გინდა ჩემგან? — ვეხეწებო. ამაზე სულ გადაირია. ამასობაში ხალხიც ჩავვერია, რა მოხდაო.

— რა და, მაგისაგან სისხლი მაქვს გამშრალი, ყოველ დამე ასე შემოიპარება ფანჯრიდან, ორჯერ ავაკარი ფანჯრი და ორჯერვე გადავომიტვრია, მაგის გულისათვის მე რატომ უნდა მომხდეს!

ცრემლმორეული ვეუბნები: — ბიძა, მე არტისტი ვარ, არტისტი!

— პატ, შე გლახა, შენისთანა ჭიაცელა არტისტი არ გამიგონია მე!

თურმე ნუ იტყვი, ერთ ბიჭს მიმამსვავსა და ჩვენი თანამშრომელი რომ არ ჩარეულიყო, საქმე ცუდად გათავდებოდა.

— პატივცემულო გოგოცა, აგეწიათ პარიკი და მიხედებოდა ვინც ბრძანდებოდათ! — მითხრა თანამშრომელმა. მაშინ იძულებული გახსდი, პარიკი მომეხადა.

ხანდახან ასე ძვირად მიჯდებოდა ბიჭუნების როლის თამაში.

ნახატები X. ყაპლაშვილი



ყინული, რომელზედაც პინგვინი ზის, ზვიგენს ყელში გაეჩხრა!

ამასობაში მიუსწრო კანკიკელამ და სტყორცნა ბარჯი.

გაიქეტი



ლ. ჭიჭინაძე

ნახატი 3. ბელიჩიშვილისა

პაპა გაბოს სოფლის განაპირას ჭქონ-
და ბოსტანი.

ბოსტანი რომ კარგი იყო, ამაში პაპა
გაბოსთან ერთად მის შვილიშვილს, პა-
ტარა ზალიკოსაც ედო წილი. როგორც
უვითონ იყო პატარა, თოხიც ისეთი პა-
წია ჭქონდა. წყლის ტოტს ხან ერთ
კვალს მიუღებდა, ხან—მეორეს.

ბოსტნის თავში ყარაულივით გადმომ-
ღვარი მსხალი რომ შემწიფდა, პაპა გა-
ბომ მის ძირში ძალღი დააბა, არავინ
შეიპაროს და მსხალი არ გამიკრიფოსო.
მურიაც თითქოს მიხვდაო, უტხოს რომ
დაინახვდა, სულ იღრინებოდა.

ერთხელ მოზრდილმა ბიჭებმა ზალი-
კოს უთხრეს:

— არ გეცოდება განა შენი კარგი
მურია, სულ დაბმული რომ გყავს? აუ-
შვი, გაინავარდოს, ხომ არაფერი დაუ-
შაგებია, რას ერჩი!

ზალიკოს შეეცოდა ძალღი, მაშინვე
გაიქცა და აუშვა. გახარებული მურია
ენაგადმოგდებული შინ გაიქცა.

მეორე დღეს პაპა გაბომ გაკრფილი
მსხალი რომ დაინახა, ზალიკოს უთხრა:

- ნეტავ ვინ აუშვა ძალღი?
- მე, პაპა გაბო.
- რატომ?
- ბიჭებმა მოთხრეს, ცოდვია დაბმუ-
ლი რომ არისო.

— მერე! შენც დაუჯერე და აუშვი
არა? რატომ ვერ მიხვდი, რომ იმათ
ძალღი კი არ ეცოდებოდათ, მსხლის
ჯავრი ჭქონიათ!



— ვაიმე, კანკიკელაც გაიტაცა!

ჩვენი ქვეყნის ბავშვებმა ჩამდენიმე წლის წინაა ინდოეთიდან საჩუქრად მიიღეს ორი სპილო: „მზე“ და „მთვარე“.



გზესავით თბილი და თოვლივით სველავით

მემოზროზის ამბავი

ი. იაკობაძე

ახალი წლის მოლოდინში
ჩაიძინა ზოგიერთმა.
ჩამოივლის თოვლის პაპა
პატარების ლოგინებთან...

ნელის გული არ უსვენებს, —
სახლში მარტო დარჩენილა
და ნაძვისხეს თოვლის შუქი
ეფინება ფანჯრებიდან.

დგას ნაძვისხე რტოგაშლილი,
ყველასათვის სასურველი
და ციმციმებს მარადმწვანე
წიწვის ნაზი საჭურველი.

ოქროსფერი ფორთოხლები
ოქროსავით აღნებიან;
ჩაშაქრული მსხლეების გვერდით
მწიფე ყურძნის ჯაგნებია.

ნელისაა ყველაფერი,
ვინ დაუწყებს შეცილებას;
ხან მტვევანი გაუცინებს,
ხან ნელისაც ეცინება.

* * *

ბადრი მთვარე
ტაატ-ტაატ
გამოკურდა ღორულებიდან...
და სიზმარში ხედავს ნელი
ქალაქს ლამაზუნებთანს.



— მაგრამ არც ასეა საქმე: ვანკიკელამ ლილაკს დააქირა თითი, ლურჯამ უმატა სის-
წრაფეს! აიტაცა პინგვინი და ახლა კი თვითონ მოაქროლებენ ზვიგენს!



ცხელა, ცხელა ბომბეიში',
თავს ცხრათვალა შზე ადნება.
და ხარაზის კიკნა გოგოს
თოვლის ნახვა ენატრება.

წავა ნელი ბომბეიში,
მაგრამ უცებ რა გააწყოს:
ტოლგებს როგორ მიულოცოს
კოტა თოვლი სახალწლოდ?

მთები თეთრად ჩამობარდნეს
ფრთაქათქათა ფანტელგებმა.
ცხადია თუ სოზმარია?
გათენდა თუ გათენდება?

ტყე... ბილიკი... თოვლით ხელში
მიდის ნელი ბაკაბუკით.
შორს გამოჩნდა ორი ლანდი
და გაისმა ბაგაბუგი.

მიაჩრდნენ სპილოები,
საით მიდის სადაური?
ნელის გული მიეცემა,
შიში ხელად გადაუვლის.

უმალ იცნო „მზე“ და „მთვარე“,
ნაჩუქარი სპილოები.
მზისგულისკენ იჩქარიან,
მოსწყენიათ გრილოები.

სიყვარულით ესალმება
და კისკისებს თავისუფლად.

ბომბეი—ქალაქი ინდოეთში.

გადახედა „მთვარემ“ ხორთუმს
ნელი ზურგზე დაისკუპა.

„კოტა თოვლი რას ეყოფა,
კოტას მეც არ ვინდომებდი, —
ფიქრობს ნელი, — ბევრს წავიღებ,
გადათეთრდეს ინდოეთი“.

აედევნენ დათუნები,
იქნებ უნდა გადარჩენა!
ნელი ღამით „მთვარეზე“ ზის,
ღლისით „მზეზე“ გადაჯდება.

ქარი თავშალს უფრიალეებს,
გაუწყწავს ნაწნავებსაც.
გაუყინა ნელის ცხვირი,
ყინვა დიდხანს აწვალდება.

არ შეშინდნენ სპილოები,
უშიშარი სპილოები.
„მზეს“ ხორთუმი გაუწითლდა,
„მთვარეს“ თვალის კილოები.

არ ინდობენ დამზრალ ფეხებს,
გაიარეს დღესაც ბევრი...
ქვეყნად ჩექმა მაინც იყო
სპილოს ფეხის შესაფერი!

* * *

ცხრა მთას იქით, ბომბეიში
აგრილდება საღამო ხანს.
და ბულბულიც დიდხანს გალობს,
ძველებურად აღარ ოზრავს.





ჩიტმაც თავის ბუდე იცის, —
დაწოლილან პატარები.

ხარაზი კი შვილის დაემგზავს:
— სად წაიდა სანატრელი?

მა, ლეილა ხის სპილოზე,
თვალს მოგტაცებთ შესახედად.
მოსკოვისკენ მიიჩქაროს,
მიღის ნელის შესახედრად.

გადაივლის მრავალ მინდორს,
მწვანე მთებს და მზიან გორებს
და ლეილა თან გზადგება
მზეს ბურთივით მიაგორებს.

სულ წინ მიღის მზესთან ერთად,
ალარ ახსოვს დაბრუნება.

ღილის ნათელს გზა დაუთმო
ღამის შავმა საბურველმა.

ჩაიძრნენ დიდი მთები,
ტყეთა მწვანე ჩაჩქანებით.
ნელი ამბობს: — ვიჩქაროთ!
სპილოც მიღის ვაჩქარებით.

ფონს მდინარეს უპოვინან,
ან რად უნდა ღელეს ფონი!
სპილოს ბუბუნს შორს წაიღებს
ეხო — მთების ტყეფონი.

მზის წამწამი მთების წვერზე
ჩასასვლელად ხამხამება.
შენდგა სპილო... დაწვა ბინდი...
და დაიწყა დაღამება.

ნელის გზაში სადღაც დარჩა
ყინვა-თოვლი ჩრდილოეთის.
მალე სამხრეთს მიაღწივს,
გათბნენ ნელის სპილოები;
უშიშარი სპილოები,
დაუღლოელი სპილოები.

რძისფერ ნისლით,
ხშირი ნისლით
გადათვთრდა არემარე.
მა, ლეილაც მოიჩქარის:
— სპილოებო,
მალე, მალე!

მეგობრობა ნისლს გაარღვევს
ზღვას ვასკურავს დაუღლოელს
ახლოს მზეა ინდოეთის,
შორს თოვლი ღვეს აუღებლად.

* * *

პაწაწინა ნელის გული
გრძნობს სიხარულს აუწონელს,
და ლეილას მეგობრულად
ორივე ხელს გაუწოდებს.

ერთად დგანან, სიყვარულით
საუბრობენ გოგონები.
ნელის ფიქრი გაიტაცებს
თოვლის ფიფქის მოგონებით.

აქეთ-იქით იყურება,
თვლები აქვს დამნაშავეის.
ეკითხება მეგობარი:
— რა გაყრია
ბამბასავით?—


თავშალზე და ნაწნავებზეც
ციმციმებენ ფანტელები.
ფრთაფარფატა, ფრთაქათათათა
თოვლის ციკინათელები.

და ლეილას კიქნა გულშიც
სიხარული მოქსოვილა,
რომ იხილა თოვლის ფიფქი
მოფრენილი მოსკოვიდან.

და ლეილას შავ თვლებშიც
მზე დააფრქვევს ელვარებას...
გააქყიტა ნელიმ თვალი,
გაღვიძება ენანება...

ცხრათვალა მზე ჩამოსცინებს
მიწას ნამით ვაღაბანის.
და ლეილას თვლებივით
კიაფდება მთა და ბარი.

მანძილი ვერ დაშორებს,
და სიავეც ხელს ვერ ახლებს
მეგობრობის მზის სითბოს და
თოვლის ფიფქის სისპეტაკეს.



ნახატები მ. ბარკინიშვილისა

<p>რედაქციის მისამართი: თბილისი, ქუდიანთა ქუჩა № 21, ტელ. 5-31-38.</p>	<p>ვლადიმერ ველი "ნახატი X. ლოლაესი" მკვდარი იოსებ ნიკოლოზი. სარედაქციო კოლეგია: გრიშაშვილი, კ. გოგიაშვილი, შაველა შრეკელი (რედაქციის მოადგილე), ი. სიხარულიძე, ნ. უნაჟიშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქცია), ტყე. რედაქციის გ. რიხიანი.</p>	<p>მკვდარი მ. ბარკინიშვილი</p>	<p>ფასი 20 კპა.</p>
<p>გამომცემის ოცდამეათეობითი წელი. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ. გამომცემლობა „ნაგაღული“, ვაჟა-ფშაველას ქუჩა № 79, სტამბა № 3772 ტირაჟი 30000 ზღვარზეა დასახელებული 19/XI 1962 წ. ფინანსი დახმარება დაიხმარებოდა წვედით დახმარება მისივე გ. შ.</p>			

27. 10 / 124

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ
ՇՈՒՐԱԳՐԱԿԱՆ
ՆԱԵՎՈՒՅՑ

